თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 1

ქ. თერჯოლა 10.01.2023 წელი

სხდომას უძღვებოდა: კომისიის თავმჯდომარე თემურ ქოჩიაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: 1. თემურ ქოჩიაშვილი, 2. დავით გოგბრეაშვილი, 3. გოჩა ვერულაშვილი, 4. გიორგი ბარათაშვილი, 5. მანუჩარ ფანჩულიძე, 6. როლანდი მესხი, 7. ფრიდონ გვენეტაძე

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. კობა კირკიტაძე, 2. ნინო მახათაძე, 3. გრიგოლ გიორგაძე, 4. რამინი რობაქიძე.

კომისიის შემადგენლობა: 11 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა : 7 წევრი
კვორუმი: 6 წევრი

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 დეკემბრის№27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის წერილი № 28-282300938 , 09/01/2023);

/მომხს. თ ქოჩიაშვილი/

2. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ" ინფორმაცია (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის წერილი № 28-282300936 , 09/01/2023).

/მომხს. თ ქოჩიაშვილი/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 7 , წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, თემურ ქოჩიაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 დეკემბრის N 27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი -თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ (ბიუჯეტში აისახა ნაშთი).

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა - 5613,9 ათასი ლარით (გრანტი 1900.0 ათასი ლარი, ნაშთი -3713,9 ათასი ლარი) და შეადგენს 26201,5 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 5613,9 ათასი ლარით. 2023 წლის პირველი იანვრისათვის დარჩენილი ნაშთი 3713,9 ათასი ლარი აისახა ბიუჯეტში (აქედან: გასანაწილებელი ნაშთია 330,0 ათასი ლარი და მიმდინარე ვალდებულებებია 3383,9 ათასი ლარი). სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირებაზე გამოიყო 1900.0 ათასი ლარი.

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა საშემოსავლო ნაწილის პარალელურად 5613,9 ათასი ლარით. მ/შორის:

მერიის დაფინანსება გაიზარდა 212,0 ათასი ლარით.

გზების კეთილმოწყობა გაიზარდა - 325,2 ათასი ლარით:

წყლის სისტემის რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციის დაფინანსება გაიზარდა -112,6 ათასი ლარით.

კომუნალური მეურნეობის განვითარების დაფინანსება გაიზარდა - 1850,0 ათასი ლარით.

საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა, ასევე საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების დაფინანსება გაიზარდა -135,0 ათასი ლარით.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია გაიზარდა 1079,1 ათასი ლარით.

საშუალო სკოლებში ინფრასტრუქტურის მოწყობა და მოსწავლეთა ტრანსპორტირება დაფინანსდება 1900.0 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: გიორგი ბარათაშვილმა, გოჩა ვერულაშვილმა, გრიგოლ გიორგაძემ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 7, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: მოწონებულ იქნას ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი და საკითხი განსახილველად გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, თემურ ქოჩიაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ" ინფორმაცია.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 7, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: მოწონებულ იქნას ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ“ ინფორმაცია და საკითხი განსახილველად გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარე

თემურ ქოჩიაშვილი